

კენდერუიკების ოჯახი

თთნი დის, თრი ბოცვრისა და ერთი ძალიან
საინცერესო ბიჭის საზაფხულო ამბავი



ჯინ ბერდსოლი

ინგლისურიდან თარგმნა
ნიკა სამუშიამ



გაკურ სულაკაურის
გამომცემლობა

შინაარსი

თავი პირველი	ბიჭი ფანჯარასთან	5
თავი მეორე	გვირაბი სხლტეში	16
თავი მესამე	უღებუკრე	29
თავი მეოთხე	მობოდიშება	36
თავი მესამე	ახალი გმირი	47
თავი მეთხუთსე	ბოცვრები და გრძელი კიბე	60
თავი მეექვსე	ნათხოვარი კაბები	71
თავი მერვე	დაბადების დღის წვეულება	83
თავი მეთხუთსე	შოკის მომგვრელი ამბავი	99
თავი მათე	მამაცური გაქცევა	109
თავი მეთერთმეტე	მორიგი გმირობა	126
თავი მეთორმეტე	სერ ბარნაბი პატერნი	134
თავი მეცამეტე	მუსიკის გაკვეთილი	150
თავი მეოთხმეტე	შუალამის თავგადასავალი	163
თავი მეთხუთმეტე	დაფლეთილი წიგნი	174
თავი მეთექვსმეტე	შინიდან გაპარული	188
თავი მეთხუთმეტე	ბოლოსწინა დღე	199
თავი მეცხრამეტე	მომავალ შესვენდრამდე	212



თავი პირველი

ბიჭი ფანჯარასთან

ოთხი და პენდერუიკი დიდხანს იხსენებდა არუნდელში გატარებულ ზაფხულს. იქ ბედისწერამ მიგვიყვანაო, იტყოდა ხოლმე ჯეინი. არა, ბედისწერა არაფერ შუაშია, არუნდელში არ აღმოვჩნდებოდით, ხარბ მეპატრონეს კეიპ-კოდზე ჩვენი აგარაკი რომ არ გაეყიდაო, შეეპასუხებოდა რომელიმე და, როგორც წესი, სკაი.

ვინ იცის, ასე იყო თუ ისე, ზღვისპირა სახლი კი, რომელსაც ისინი ქირაობდნენ ხოლმე, ნამდვილად ბოლო წუთას გაიყიდა და ამ ამბავმა მოულოდნელად ჩაუშალა პენდერუიკებს საზაფხულო გეგმები. მისტერ პენდერუიკმა ბევრგან დარეკა, მაგრამ კეიპ-კოდში ყველა აგარაკი უკვე დაჯავშნილი იყო. მთელი არდადეგების გატარება მასაჩუსეტსში, მშობლიურ კემერონში მოგვიწევსო, დარდობდნენ მისი ქალიშვილები. განა მათ კემერონი არ უყვარდათ, მაგრამ ზაფხული ხომ იმისთვისაა, რომ სადმე განსაკუთრებულ ადგილას წავიდეს ადამიანი? მაგრამ მერე, სრულიად შემთხვევით, მისტერ პენდერუიკმა მეგობრის მეგობრისაგან შეიტყო ბერკშირის მთებში მდებარე ერთი კოტეჯის შესახებ, რომელსაც ბევრი საძინებელი და ძაღლის დასაბინავებლად ფართო, შემოღობილი ბაკი ჰქონდა – იდეალური

პენდერუიკების დიდი, შავი, საყვარელი მეძებრის, ჰაუნდისთვის. კოტეჯი აგვისტოში სამი კვირით იყო თავისუფალი და მისტერ პენდერუიკმა ის მაშინვე, უნახავად დაიქირავა.

მამიკო აზრზე არ იყო, თავს რაში ყოფდაო, იხსენებდა ხოლმე ბეტი. როზალინდი ხშირად იმეორებდა, რა ცუდია, რომ დედამ არუნდელი ვერ ნახა, იქაური ბალები ძალიან მოეწონებოდაო. მას ჯეინი პასუხობდა, ზეცაში უკეთესი ბალებიაო; თანაც დედა ზეცაში მისის ტიფტონს ვერსად შეეჩეხებო, დასძენდა სკაი და დებს აცინებდა. სიცილს რომ მორჩებოდნენ, სხვა რამეზე ლაპარაკობდნენ, სანამ მერე რომელიმეს ისევ არუნდელი არ გაახსენდებოდა.

მაგრამ ეს ყველაფერი შემდეგ მოხდა. ჩვენი ამბის დასაწყისში კი ბეტი მხოლოდ ოთხი წლის იყო, როზალინდი – თორმეტის, სკაი – თერთმეტის, ჯეინი კი – ათის. ისინი მანქანაში იხსდნენ მისტერ პენდერუიკთან და ჰაუნდთან ერთად. პენდერუიკების ოჯახი არუნდელში მიემგზავრებოდა, მაგრამ სამსუხაროდ, მათ გზა აებნათ.

– ბეტის ბრალია, – გამოაცხადა სკაიმ.

– სულაც არა, – გააპროტესტა ბეტიმ.

– რა თქმა უნდა, შენი ბრალია, – შეუტია სკაიმ, – გზა არ აგვებნეოდა, ჰაუნდს რუკა რომ არ შეეჭამა, ჰაუნდი კი რუკას არ შეეჭამდა, შიგ სენდვიჩი რომ არ დაგემალა.

– შეიძლება, ჰაუნდმა რუკა შემთხვევით სულაც არ შეეჭამა და ეს ბედმა იწება, იქნებ, გზააბნეულებმა, რამე საოცარი აღმოვაჩინოთ, – თქვა ჯეინმა.

– ჰო, მაგალითად, თუ ჩემს უმცროს დებთან ერთად უკანა სავარძელზე დიდხანს ვიჯდები, გავაფრენ და მათ დავხოცავ, – ჩაიბურღლუნა სკაიმ.

– მშვიდად, გოგოებო, – ჩაერია მისტერ პენდერუიკი, – როზალინდ, იქნებ რამე ვითამაშოთ?

– მოდი, „ზოოპარკში წავედი და ვნახე...“ ვითამაშოთ, – მოიფიქრა როზალინდმა, – ზოოპარკში წავედი და ვნახე ანტილოპა. ჯეინ?

– ზოოპარკში წავედი და ვნახე ანტილოპა და ბიზონი, – გააგრძელა ჯეინმა.

ბეტი ჯეინსა და სკაის შორის იჯდა და მისი ჯერი მოვიდა.

– ზოოპარკში წავედი და ვნახე ანტილოპა, ბიზონი და გიპოპოტამი.

– სწორია ჰიპოპოტამი, სახელი „განით“ კი არა, „ჰაეთი“ იწყება, – შეუსწორა სკაიმ.

– მე გიპოპოტამი გამიგია, – გაჯიუტდა ბეტი.

– შენს რიგს დაელოდე, სკაი, – გააფრთხილა და როზალინდმა.

– თუ წესებს არ დავიცავთ, თამაშს აზრი არ აქვს.

მისტერ პენდერუიკის გვერდით, წინა სავარძელზე მჯდომმა როზალინდმა უკან მიიხედა და სკაის უფროსი დის შესაფერისად დაუბრიალა თვალები. თვალების ბრიალით რომ სკაის ვერ შეაშინებდა, იცოდა, ბოლოს და ბოლოს, მასზე მხოლოდ ერთი წლით იყო უფროსი, მაგრამ დას ცოტა ხნით მაინც გააჩუმებდა და ამასობაში თვითონ იმაზე დაფიქრდებოდა, გზააბნეულები საით წასულიყვნენ. შინიდან სამი საათის გამოსულები კვლავ გზაში იყვნენ, არადა მათი მგზავრობა მხოლოდ საათნახევარს უნდა გაგრძელებულიყო. როზალინდმა მამას შეხედა. მისტერ პენდერუიკს სათვალე ცხვირზე ჩამოსცურებოდა და თავის საყვარელ ბეთჰოვენის სიმფონიას (გაზაფხულისას) ლილინებდა. გოგონა მიხვდა, რომ მამა გზის ნაცვლად, მცენარეებზე ფიქრობდა – მისტერ პენდერუიკი ბოტანიკოსი გახლდათ.

– მამიკო, თუ გახსოვს, რუკაზე რა იყო აღნიშნული? – ჰკითხა როზალინდმა.

– პატარა ქალაქ ფრემლის უნდა გავცდეთ, რამდენიმეგან მოგუხვიოთ და სტაფორდ-სტრიტის №11 მოვძებნოთ.

– ფრემლის ცოტა ხნის წინ არ მოკვარით თვალი? და შეხედე, – ფანჯრიდან გაიშვირა თითი როზალინდმა, – იმ ძროხებს ერთხელ უკვე ჩაფუარეთ.

– მახვილი მზერა გქონია, როზი, – შეაქო ქალიშვილი მისტერ

პენდერუიკმა, – მაგრამ წელან ხომ საპირისპირო მიმართულებით მივდიოდით? იქნებ ამჯერად გაგვიმართლოს.

– ტყუილად იმედოვნებ. არ გახსოვს, გზის გასწვრივ საძოვრების მეტი არაფერი გვინახავს?

– აჰ, ჰო.

მისტერ პენდერუიკმა მანქანა გააჩერა, შემოატრიალა და საპირისპირო მიმართულებით წავიდა.

– ვინმე უნდა ვიპოვოთ, ვინც გზას გვასწავლის, – თქვა როზალინდმა.

– ვერტმფრენი უნდა ვიპოვოთ, რომ აგვნიოს და იქ დაგვსვას, – შენიშნა სკაიმ, – ეგ შენი სულელური ფრთები შენთვის შეინახე! – მიუბრუნდა მერე ბეტის, რომელსაც, როგორც ყოველთვის, თავისი საყვარელი, შავ-ნარინჯისფერი პეპლის ფრთები ეკეთა.

– სულელური სულაც არ არის! – აღშფოთდა ბეტი.

– ავ-ავ! – დაიყეფა მანქანის უკანა ნაწილში, ყუთებსა და ჩემოდნებს შორის მოთავსებულმა ჰაუნდმა, რომელიც ნებისმიერ კამათში ბეტის უჭერდა მხარს.

– „დალლილი და გზააბნეული მამაცი მოგზაურები და მათი ერთგული ძაღლი კამათობდნენ, მხოლოდ საბრინა სტარი ინარჩუნებდა სიმშვიდეს,“ – თქვა ჯეინმა. საბრინა სტარი ჯეინის წიგნების მთავარი გმირი იყო, რომელსაც სხვების შველა უყვარდა. პირველ წიგნში მან ჭრიჭინა იხსნა. შემდეგ ტომებს ერქვა „საბრინა სტარი ბელურის ბარტყს შველის“ და „საბრინა სტარი კუს შველის“, სულ ახალ წიგნს კი – „საბრინა სტარი ზაზუნას შველის“. როზალინდმა იცოდა, რომ ჯეინს იდეები შემოაკლდა და ვერ იგონებდა, კიდევ რისთვის ეშველა საბრინა სტარს. სკაიმ ურჩია, კაცოჭამია ნიანგს უშველოს და მერე იმავე ნიანგმა შესანსლოს, ბარემ სერიასაც დაასრულეო, მაგრამ ოჯახის სხვა წევრებმა მაშინვე ხმა ჩააგდებინეს. მათ ჯეინის წიგნები ძალიან მოსწონდათ.

უკანა სავარძლიდან ხვნეშა მოისმა. როზალინდი მიტრიალდა, ჩხუბი ხომ არ ატეხესო, მაგრამ მხოლოდ ბეტი წრიალებდა თავის

საბავშვო სავარძელში და უკან მიბრუნებას ცდილობდა, რომ ჰაუნდი დაენახა. ჯეინი თავის საყვარელ ლურჯ რვეულში წერდა რაღაცას. მათ არაფერი უშავდათ. სამაგიეროდ, სკაის დაებერა ლოყები თევზით, რაც იმას ნიშნავდა, რომ იმაზე უფრო მოწყენილი იყო, ვიდრე როზალინდი შიშობდა. როგორმე მალე უნდა მიეღწიათ კოტეჯამდე.

უცებ როზალინდმა გზის პირას გაჩერებული სატვირთო მანქანა შეამჩნია.

– მამიკო, გააჩერე! იქნებ მძღოლმა გზა გვასწავლოს.

მისტერ პენდერუიკმა დაამუხრუჭა. როზალინდი მანქანიდან გადავიდა. სატვირთოს კაბინის ორივე კარზე დიდი ასოებით ეწერა **პომიდორი**. სატვირთოს გვერდით, ხის მაგიდაზე მსხვილი, წითელი პომიდვრები დაეხვავებინათ. მაგიდასთან ბერიკაცი იდგა, რომელსაც გაცვეთილი ჯინსის შარვალი და მწვანე პერანგი ეცვა. პერანგის ჯიბეზე **ჰარის პომიდორი** იყო ამოქარგული.

– პომიდორი ხომ არ გნებაავს? – ჰკითხა ბერიკაცმა გოგონას.

– ჰკითხე, ჯადოსნური პომიდორი ხომ არ არის? – დაუძახა როზალინდს მანქანის ფანჯრიდან თავგამოყოფილმა ჯეინმა, რომელსაც სკაი შიგნით ექაჩებოდა.

– ჩემი უმცროსი დები არიან, – მობოდიშებით აუხსნა როზალინდმა ბერიკაცს.

– მე თვითონ ექვსი და მყავდა.

ჩემს სამივე დას ტყუპისცალი რომ ჰყავდეს?! გაიფიქრა როზალინდმა და გააჟრჟოლა. მერე კი ბერიკაცს უთხრა:

– თქვენი პომიდორი ძალიან მადის აღმძვრელად გამოიყურება, მაგრამ მე მხოლოდ გზის სწავლება მჭირდება. სტაფორდ-სტრიტის თერთმეტ ნომერს ვეძებთ.

– არუნდელს?

– არუნდელზე არაფერი ვიცი. კოტეჯი ვიქირავებ და იმის მისამართია.

– ჰოდა, მანდ არუნდელია, მისის ტიფტონი ცხოვრობს. ლამაზი ქალია. და თან მეტისმეტად ქედმაღალი.

– ვაი...

– ნუ ღელავ, მშვენივრად მოეწყობით. იქ ერთი-ორი კარგი სიურპრიზიც გელოდებათ. თუმცა იმ ქერას დაშოშმინება მოგიწევს, – მანქანისკენ გაიქნია თავი ბერიკაცმა. სკაისა და ჯეინს ახლა უკვე ერთად გამოეყოთ თავები ფანჯრიდან და მათ უსმენდნენ. მანქანიდან ბეტის მოგუდული წუნწუნი ისმოდა, ნუ გამჭყლიტეთო.

– მე რატომ? – დაინტერესდა სკაი.

ბერიკაცმა როზალინდს თვალი ჩაუკრა.

– შფოთისთავებს ყოველთვის ვცნობ. მე თვითონაც შფოთისთავი ვიყავი. მამას უთხარი, კიდევ ცოტაც იაროს ამ გზაზე და მარცხნივ, პირველივე მოსახვევში მოუხვიოს, მერე კი, მალევე – მარჯვნივ და ნომერი თერთმეტი მოძებნოს.

– გმადლობთ, – გაუღიმა როზალინდმა და მანქანისკენ მიტრიალდა.

– ერთი წუთით, – ბერიკაცმა ექვსი ცალი პომიდორი ჩაუდო ქალაღლის პარკში, – ეს ნაილე.

– ვერ გამოგართმევთ, – იუარა როზალინდმა.

– ნაილე, ნაილე. მამას უთხარი, რომ ეს საჩუქარია ჰარისგან, – ბერიკაცმა როზალინდს ქალაღლის პარკი შეაჩეჩა, – და კიდევ ერთი რამ, გოგონა, შენ და შენი დები მისის ტიფტონის ბალებს არ გაეკაროთ. ის თავის ბალებს მეტისმეტად უფრთხილდება. გემრიელად მიირთვიტ პომიდორი!

როზალინდი მანქანაში ჩაჯდა.

– გაიგონეთ, რა მითხრა?

– პირდაპირ, მერე მარცხნივ, მერე მარჯვნივ, მერე ნომერი თერთმეტი უნდა მოვძებნოთ, – მისტერ პენდერუიკმა მანქანა დაქოქა.

– რაო, რა არუნდელიო? – ჰკითხა სკაიმ.

– ან მისის ტიფტონი ვინ არის? – დაინტერესდა ჯეინი.

– ჰაუნდს ტუალეტში უნდა, – თქვა ბეტიმ.

– ცოტაც მოითმინოს, საყვარელო, – სთხოვა მას როზალინდმა, – მამიკო, აქ მარცხნივ მოუხვიე.

რამდენიმე წუთის შემდეგ სტაფორდ-სტრიტზე შეუხვიეს და უეცრად მისტერ პენდერუიკმა მანქანა შუა ქუჩაში გააჩერა. გაკვირვებისგან ყველამ თვალები დაჭყიტა. როგორი წარმოედგინა ოჯახს ნაქირავები კოტეჯი? პატარა, მყუდრო, ძველი და, ეზოში რამდენიმე ბაღის ქოთნით. მეპომიდვრე ჰარის სიტყვებმაც კი ვერ შეცვალა მათი წარმოდგენა. თუ რომელიმემ საერთოდ რამე იფიქრა, ეს იყო: ეტყობა, ქედმაღალი მისის ტიფტონი ჩვენი კოტეჯის გვერდით ცხოვრობს, თავის ბაღრაში ბოსტნეული მოჰყავს და ამიტომაც მათ მკაცრად იცავსო.

სინამდვილეში პენდერუიკებმა სულ სხვა რამე დაინახეს. კერძოდ: ორი მაღალი, კოხტა ქვის სვეტი, რომელთაგან ერთზე **№11** იყო ამოკვეთილი, მეორეზე კი – **არუნდელი**. სვეტებს მიღმა ორ რიგად დარგული ვერხვების ხეივანი მიიკლაკნებოდა. შორს, ხეივნის იქით ლამაზი, აქა-იქ მოხდენილი ხეებით დამშვენებული, კარგად მოვლილი მდელი იყო. სახლი არსად ჩანდა.

– ოჰო! – წამოიძახა სკაიმ.

– კოტეჯებს ასეთი ეზოები არ აქვთ, – შენიშნა როზალინდმა, – მამიკო, დარწმუნებული ხარ, რომ მისამართი სწორად დაიმახსოვრე?

– სრულიად, – უპასუხა მისტერ პენდერუიკმა.

მან მანქანა დაძრა და ნელა გაუყვა ხეივანს, რომელიც დაუსრულებლად მიიწევდა წინ და პენდერუიკებმა ლამის იფიქრეს, მის ბოლოს ვერასდროს მივალწევთო. როგორც იქნა, უკანასკნელი მოსახვევიც გაიარეს, ვერხვის ხეების რიგი დასრულდა და როზალინდის ეჭვიც გამართლდა.

– მამიკო, ეს კოტეჯი არ არის!

– გეთანხმები. ეს სასახლეა.

დეკორატიული ბაღების შუაგულში მართლაც სასახლე იდგა, ნაცრისფერი ქვით აშენებული და ყოველი მხრიდან კოშკებით, აივნებით, ტერასებითა და კოშკურებით მორთული. და ბაღებს არ იკითხავთ? ბაღებს უამრავი შადრევანი, აყვავილებული

სხლტე¹ და მარმარილოს ქანდაკება ამშვენებდა – თანაც პენდერუ-იკები ხეივნიდან ბალების მხოლოდ მცირე მონაკვეთს ხედავდნენ.

– „დაქანცული მოგზაურების თვალწინ მეფეთა საკადრისი საცხოვრისი აღიმართა. ქეარ-პარაველი! ელდორადო! კამელოტი!“ – წარმოთქვა ჯეინმა.

– ცუდია, რომ მეფეები არ ვართ, – შენიშნა სკაიმ.

– ისევ გზა აგვებნა, – განზილებით ჩაილაპარაკა როზალინდმა.

– ყურებს ნუ ჩამოყრი, როზი, – გაამხნევა ქალიშვილი მისტერ პენდერუიკმა, – ვილაც მოდის და იმას ვკითხოთ.

კუპიდონისა და ვენერას დიდი ქანდაკების უკნიდან მაღალმა ყმანვილმა გამოაგორა ურიკა. მისტერ პენდერუიკმა ფანჯრის მინა ჩასწია, მაგრამ სანამ ბიჭს დაუძახებდა, მანქანის უკანა ნაწილიდან ნაცნობი უსიამოვნო ხმა მოისმა.

– ჰაუნდს გული ერევა! – დაიკვივლა ბეტიმ.

დებმა იცოდნენ, როგორ უნდა მოქცეულიყვნენ. თვალის დახამხამებაში გადმოხტნენ მანქანიდან, უკანა კართან მიიბრინეს და საბრალო ჰაუნდი ხეებისკენ წაათრიეს. ძალმა ჯეინს ბოტასებზე დაარწყია.

– ოჰ, ჰაუნდ, ეს რა ქენი? – ამოიოხრა ჯეინმა და ყვითელ, მაღალყელიან ბოტასებზე დაიხედა. ჰაუნდი არხეინად გაძუნძულდა ბუჩქის გამოსაკვლევად.

– სანაგვეში ნაპოვნი პიცა რომ შეჭამა, მაშინ უარესი დაემართა, – გაიხსენა სკაიმ.

ბეტი წარწყვეის გამოსაკვლევად დაიხარა.

– აი, რუკა, – თითი გაიშვირა მან.

– ხელი არ ახლო! – დაუყვირა როზალინდმა, – შენ კიდევ, ჯეინ, ფეხებს ნუ იქნევ. შხეფები აქეთ-იქით ცვივა. აქ დამელოდეთ.

¹ ლობედ შემოვლებული ბუჩქნარი

² ქეარ-პარაველი – წარწერის მეფეების სასახლე, კლაივ სტეპლზ ლუისის ნაწარმოებიდან „წარწერის ქრონიკები“, ელდორადო – ოქროთი და თვალ-მარგალიტით მდიდარი მითიური მხარე, კამელოტი – მეფე არტურის ლეგენდარული სასახლე

როზალინდი ქალაღდის ხელსახოცების მოსატანად გაიქცა.

მისტერ პენდერუიკი მანქანიდან გადმოსულიყო და ურიკიან ბიჭს ელაპარაკებოდა:

– ვხედავ, გზის პირას *Linnea borealis* ხარობს. საკვირველია, აქ რამ მოიყვანა. მაგრამ მე განსაკუთრებით მაინტერესებს *Cypripedium arietinum*, ხომ არ იცით, სად შეიძლება მისი პოვნა. ჭაობიანი, ჩრდილიანი ადგილები უყვარს?

როზალინდმა მანქანის საბარგულში შეყო თავი და ბარგი ამოქექა. მამამისი ლათინურად ლაპარაკობდა მცენარეებზე, რაც იმას ნიშნავდა, რომ ბედნიერი იყო. იმედია, არ დაავინყდება, ბიჭს გზის მისწავლება სთხოვოსო, გაიფიქრა გოგონამ. სხვათა შორის, ბიჭი სიმპათიური ჩანდა. თვრამეტი-ცხრამეტი წლისა იქნებოდა. „რედ სოქსის“¹ ბეისბოლისტის კეპიდან ღია ყავისფერი თმა გამოსჩროდა. როზალინდმა მანქანის უკნიდან გამოიხედა და ბიჭის ხელებისკენ გააპარა თვალი. მისი საუკეთესო მეგობარი ანა ამბობდა ხოლმე, ადამიანზე, მისი ხელების მიხედვით, ბევრი რამ შეიძლება დაასკვნაო. ბიჭს მებალის ხელთათმანები ეცვა.

ქალაღდის ხელსახოცები მისტერ პენდერუიკის კომპიუტერის უკან, ფეხბურთის ბურთის ქვეშ აღმოჩნდა. როზალინდმა მთელ შეკვრას დაავლო ხელი და ისევ დებისკენ გაეშურა. ჯეინი და სკაი ჰაუნდის ნარწყევს ფოთლებს აყრიდნენ.

– გახსოვთ, გაიგვრების საპიკნიკო მაგიდაზე რომ აძვრა და მთელი ლიმონის ტორტი შესანსლა? აი, მაშინ კი მართლა მაგრად აღებინა, – თქვა სკაიმ.

– ის თუ გახსოვთ, მაცივრიდან ხორცის რულეტი რომ მოიპარა? ორი დღე ცუდად იყო, – გაახსენდა ჯეინს.

– ჩშშ, – გააჩუმა დები როზალინდმა და ჯეინს ხელსახოცით გაუნმინდა ბოტასები. მისტერ პენდერუიკი და ის ბიჭი მათკენ მოდიოდნენ.

– გოგოებო, ეს კევნია, – წარადგინა ბიჭი მისტერ პენდერუიკმა.

¹ ბეისბოლის გუნდი, რომელიც ამერიკის უმაღლეს ლიგაში თამაშობს.

– გამარჯობა, – თბილად გაიღიმა კეგნიმ, ხელთათმანები გაიძრო და ჯინსის შარვლის ჯიბეში ჩაიჩურთა. როზალინდმა დაკვირვებით შეათვალა მისი ხელები, მაგრამ სრულიად ჩვეულებრივი მოეჩვენა და ნეტავ, აქ ანა იყოსო, ინატრა.

– კეგნი, ეს ოთხივე ჩემი სიამაყე და სიხარულია. აი, ეს ქერა ჩემი მეორე ქალიშვილია, სკაი...

– ლურჯი თვალები აქვს სკაის, უკამკამებს ცასავით, – სკაიმ, კეგნისთვის საჩვენებლად, ცისფერი თვალები ფართოდ გაახილა.

– ასე ადვილად დაიმახსოვრებ, სკაი რომელია, – აუხსნა ჯეინმა ბიჭს, – ცისფერი თვალებითა და სწორი, ქერა თმით. დანარჩენებს ერთნაირი ყავისფერი თვალები და ხუჭუჭი, მუქი თმა გვაქვს. ხალხს მე და როზალინდი ყოველთვის ერთმანეთში ვეშლებით.

– სულაც არა. მე უფრო მაღალი ვარ, – გააპროტესტა როზალინდმა, რომელსაც, სამწუხაროდ, გარდა იმისა, რომ ნარწყვიანი ხელსახოცები ეჭირა, მაისურზე დიდი ასოებით „უაილდფუდის დანყებითი სკოლა“ ეწერა. ნეტა ეს მაისური არ ჩაეცვა. ხალხი იფიქრებდა, რომ დანყებით სკოლაში სწავლობდა. არადა, სექტემბრიდან მეშვიდე კლასში ივლიდა.

– დიახ, უფრო მაღალი როზალინდია, ჩემი უფროსი ქალიშვილი, მასზე დაბალი კი ჯეინია, ხოლო... – მისტერ პენდერუიკმა მიმოიხედა.

– იქ არის, – ხის უკნიდან გამოჩრილ ნარინჯისფერ-შავ ფრთებზე მიუთითა ჯეინმა.

– ხოლო ის მორცხვი ბეცია. გოგოებო, თქვენთვის კარგი ამბავი მაქვს. მისამართი არ შეგვშლია. კეგნი მებაღედ მუშაობს არუნდელ-ჰოლში... თურმე ამ სასახლეს ასე ჰქვია... და ჩვენ გველოდებოდა. ჩვენი კოტეჯი ამ სასახლის უკან დგას.

– წინათ, გენერალი ფრემლისა და მისი მეუღლის სიცოცხლეში, იმ კოტეჯში სტუმრებს აბინავებდნენ ხოლმე, – თქვა კეგნიმ, – მას მერე, რაც მამულის პატრონი მისის ტიფტონი გახდა, უფრო მეტი სიმშვიდეა.

– მისის ტიფტონი! – წამოიძახა ჯეინმა და უფრო მეტსაც იტყოდა, როზალინდს იდაყვი რომ არ ეთავაზებინა ფერდში.

– კარგი, გოგოებო, წავედით, – უთხრა შვილებს მისტერ პენდერუიკმა, – კეგნი, რაც შეიძლება მალე უნდა გავისაუბროთ ადგილობრივ ფლორაზე.

– სიამოვნებით, – დაეთანხმა კეგნი, – აი, ამ გზას გაყევით, ეტლების სადგომს ჩაუარეთ და ბალებში შეხვალთ. იქ თქვენგან მარცხნივ ტაფობში გაშენებულ ბაღს დაინახავთ, მარჯვნივ – ბერძნულ პავილიონს, წინ კი – სამიჯნე სხლტეს. სხლტისგან ასიოდე მეტრში დგას თქვენი კოტეჯი. ყვითლად არის შეღებილი და მაშინვე თვალში მოგხვდებათ. გასაღები ფეხსანმენდი ტილოს ქვეშ დევს.

როზალინდმა ბეტი დაიჭირა, სკაიმ ჰაუნდი მოიყვანა და ყველანი ისევ მანქანაში ჩასხდნენ, გარდა ჯეინისა, რომელიც არუნდელ-ჰოლს მიშტერებოდა.

როზალინდმა ფანჯრიდან თავი გაყო.

– ჯეინ, წამოდი.

ჯეინმა უხალისოდ მოსწყვიტა სასახლეს მხერა.

– მგონი, ზედა ფანჯარასთან ბიჭი დავინახე. ჩვენ გვიყურებდა. სკაი გადაიხარა, რომ ზემოთ აეხედა და ბეტი ლამის გაჭყლიტა.

– აბა, რომელთან?

– აი, იქ, – მიუთითა ჯეინმა, – ზემოთ და მარჯვნივ.

– ვერავის ვხედავ.

– მომშორდი! – უყვირა სკაის ბეტიმ.

სკაი ისევ თავის ადგილზე დაჯდა.

– აშკარად მოგეჩვენა, ჯეინ.

– შეიძლება, – ჩაილაპარაკა ჯეინმა, – მაგრამ მე ასე არ მგონია. ასეა თუ ისე, მან ერთი იდეა შთამაგონა.